# საქართველოში ბიზნესის სფეროში არსებული საკადრო მოთხოვნები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მზაობა შესაბამისი კადრების მიწოდების თვალსაზრისით

კვიციანი მარიამი

გიორგაძე თამარ

ჯგუფი #18

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლოლიტა შენგელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**თბილისი, 2017**

# აბსტრაქტი

ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ  დამსაქმებლების საჭიროებებსა და საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პროგრამების სტრუქტურის შესაბამისობას. ნაშრომის სიახლედ მივიჩნევთ საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების თეორიული ხასიათის რეკომენდაციების მომზადებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს და სტიმული მისცეს საქართველოში ბიზნეს სფეროში არსებული საკადრო მოთხოვნების საგანმანათლებლო სისტამასთან შესაბამისობაში მოყვანას, საჭირო და დროული ცვლილებების განხორციელებას. ჩვენი მიზანია არგუმენტირებული წინადადებების შემუშავება, რამაც გარკვეულწილად ხელი უნდა შეუწყოს  საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფას, რათა მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული ბიზნეს სექტორის საკადრო მოთხოვნები და დასაქმების მსურველებს მუშაობის დაწყებისას გაუადვილდეთ სამუშაო ადგილზე სწრაფად ადაპტაცია და თეორიულად ნასწავლი მასალის პრაქტიკაში გამოყენება.

კვლევის ობიექტად შევარჩიეთ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიზნესის ფაკულტეტის ექსპერტები, ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები. მათზე დაკვირვების შედეგად შევძელით გამოგვეკვეთა ბიზნეს სექტორის მთავარი საკადრო მოთხოვნები/სურვილები და უმაღლეს დაწესებულებათა დამოკიდებულება არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში. გავარკვიეთ რომელი უნარ-ჩვევების გავითარებას ისურვებდნენ სტუდენტები უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში და მეორეს მხრივ, რა მოლოდინები აქვს პოტენციურ დამსაქმებლებს და რომელი უნარ-ჩვევების გამოვლენას  ისურვებდნენ ისინი თავიანთი  კადრების მხრიდან.

# Abstract

The topic of the research is "the Staff Requirements in the field of Business and the Willingness of Higher Education Institutions in Terms of Providing Relevant Staff." Based on the topic of the thesis, we aim to find the compliance of educational system with the existing job requirements and existing challenges in the business sector.

In our work we will consider the needs of the employers and the compliance of the structure of the programs in the educational system. We believe that the novelty of the thesis is to prepare theoretical recommendations for improving the efficiency of the educational system, which should facilitate and encourage the inclusion of the existing human resource requirements in the field of business in Georgia with the appropriate education, to implement the necessary and timely reforms. Our goal is to develop argumentative proposals that help to improve the educational system in order to facilitate the main needs of the business sector and make it easier for candidates to adapt to the job easily and to use the theoretical knowledge in practice.

As a research objective, we selected experts of Business Faculty of Higher Education Institutions, representatives of Business Organizations, Graduates. As a result of their observation we were able to find out the main staff requirements / wishes of the business sector and the attitude of the higher institutions in relation to existing requirements. We found out which skills the students would like to enroll in the higher education institution, and on the other hand, which skills the potential employers would like to have their staff.

მადლობა

მადლობას ვუხდით  ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის ბიზნესის სკოლის დეკანს ქალბატონ ნინო პატარაიას და კერძო სექტორში მომუშავე ექსპერტებს, რომელთა რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იყო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.